№ 0G26-1294756 D 13.10.2026

შპს „ქართი მ.მ.“-ს (ს/ნ 200265541)
დირექტორს მამუკა ალიბეგაშვილს (პ/ნ 01022002683)
მისამართი: ქ.თბილისი, ხორნაბუჯის ქუჩა N5
Email: Qartebi070@gmail.com
მობ: 599503834; 579760002

ბატონო მამუკა,

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“ (შემდგომში - **„კომპანია“**) წარმოდგენილი თქვენი განცხადების („კომპანიაში“ რეგისტრაციის ნომერი:IN26-1288142, თარიღი 01/10/2026, შემდგომში - **„განცხადება“**) პასუხად, რომლითაც „კომპანიისგან“ მოთხოვნილია ინფორმაცია საინჟინრო ქსელების ადგილმდებარეობისა და ქსელებთან დაკავშირებით დადგენილი რეგულაციების თაობაზე, გაცნობებთ, რომ:

„კომპანიის“ გეოინფორმაციულ სისტემაში (GIS) დაცული მონაცემების თანახმად, მიწის ნაკვეთზე (შემდგომში - **„მიწის ნაკვეთი“**), მდებარე - ქ. თბილისი, ქსნის ქუჩა ,N48-ის მიმდებარე ტერიტორია, (ს/კ: 01.12.08.039.146) გაედინება „კომპანიის“ კუთვნილი საინჟინრო ქსელები სიტუაციურ ნახაზზე (დანართი 1) დატანილი ტრაექტორიით.

სასმელი წყლისა და წყალარინების ქსელებთან დაკავშირებით მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.

საინჟინრო ქსელი	დაშორება (ჰორიზონტალური მანძილი) საპროექტო შენობასა (ასაშენებელი შენობის გარე კედლის/საძირკვლის კიდიდან) და საინჟინრო ქსელებს შორის (მილსადენის გარე კედლამდე (გარსამდე)). (მეტრი)	
	შენობა-ნაგებობების საძირკველი	ღობე

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
GEORGIAN WATER AND POWER LTD
0108, ქ.თბილისი, მედეა (მზია) ჯუღელის N10.
ტელ: +995 (32) 293 11 11; ფაქსი: +995 (32) 298 26 07
ელ-ფოსტა: info@gwp.ge/www.gwp.ge
საიდენტიფიკაციო კოდი 203826002
10 Medea (Mzia) Jugheli Street, Tbilisi 0108, Georgia
Tel: +995 (32) 293 11 11; Fax: +995 (32) 298 26 07
E-mail: info@gwp.ge/www.gwp.ge
Identification Code 203826002

სასმელი წყალი და წნევიანი წყალარინება	5	3
თვითდენითი წყალარინება	3	1.5
სატუმბო სადგური	15	15
რეზერვუარი	30	30

გვირაბებისა და მაგისტრალური მილსადენის შემთხვევაში, საკითხის განხილვა მოხდება ინდივიდუალურად.

დამატებით განგიმარტავთ, რომ თუ „მიწის ნაკვეთზე“:

(ა) სამშენებლო ან სხვა სახის სამუშაოების მიმდინარეობისას გამოვლინდა, რომ „კომპანიის“ საინჟინრო ქსელების რეალური ტრაექტორია განსხვავდება სიტუაციურ ნახაზზე (დანართი 1) დატანილი ინფორმაციისაგან, რის გამოც შეუძლებელი ხდება დადგენილი მინიმალური დაშორებების დაცვა, სამუშაოების განმახორციელებელი ვალდებულია მყისიერად შეაჩეროს პროცესი და შეატყობინოს „კომპანიას“.

(ბ) სამშენებლო ან სხვა სახის სამუშაოების წარმოებისას, ობიექტზე ან მის სიახლოვეს, აღმოჩნდება სასმელი წყლის ან წყალარინების ისეთი ქსელი, რომელიც არ არის დატანილი თანდართულ სიტუაციურ ნახაზზე და არ ფიქსირდება „კომპანიის“ გეოინფორმაციული სისტემის (GIS) ბაზებში, ხოლო მისი მდებარეობა არღვევს განსაზღვრულ მინიმალურ დაშორებებს, სამუშაოების განმახორციელებელი ვალდებულია მყისიერად შეაჩეროს პროცესი და შეატყობინოს „კომპანიას“.

(ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სამუშაოების განახლება დაუშვებელია „კომპანიის“ მიერ შესაბამისი ტექნიკური ინსტრუქციებისა და წერილობითი თანხმობის გაცემამდე. ამასთან, საინჟინრო ქსელების დაცვის, გადატანის, რეკონსტრუქციის, მოწყობის ან/და დადგენილი მინიმალური დაშორებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ღონისძიება და შესაბამისი ხარჯი სრულად დაეკისრება სამშენებლო ან სხვა სახის სამუშაოების განმახორციელებელს და დაფინანსდება მისი მხრიდან.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ, სამომავლოდ, თქვენი მიზანია „კომპანიასთან“ გენერალური გეგმის შეთანხმება ან/და „მიწის ნაკვეთზე“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების თაობაზე შესაბამისი თანხმობის მოპოვება, საკითხის განხილვის მიზნით, სავალდებულოა საპროექტო დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინოთ ელექტრონული ვექტორული ფაილი (** .dwg, .dxf ან .shp** ფორმატში), რომელიც შესრულებული უნდა იყოს

რეალურ კოორდინატებში (WGS 1984 / UTM Zone 38N სისტემაში) და სტრუქტურულად დაყოფილი შემდეგ შრეებად (Layers):

(ა) საკადასტრო საზღვრები: საჯარო რეესტრის მონაცემების შესაბამისად;

(ბ) საპროექტო კონტური: ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ზუსტი გარე პერიმეტრი;

(გ) საინჟინრო ქსელები: არსებული სასმელი წყლისა და წყალარინების ქსელები;

(დ) დაშორებების ჩვენება: საპროექტო შენობიდან უახლოეს საინჟინრო ქსელამდე არსებული ფაქტობრივი მანძილები (მეტრებში).

დამატებით აღვნიშნავთ, რომ „კომპანიაში“ წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტაცია მატერიალური (ვიზუალური) ფორმითაც სავალდებულოდ უნდა ასახავდეს ხსენებულ საკადასტრო მონაცემებს (საკადასტრო კოდი, მიწის ნაკვეთის ფართობი, მისამართი), პირობით აღნიშვნებს, შესასრულებელი სამუშაოების აღწერას, ასევე „კომპანიის“ საკუთრებაში არსებულ საინჟინრო ქსელებსა და ქსელებამდე არსებულ დაშორებებს.

დანართი: სიტუაციური ნახაზი 1 (ერთი) ფურცელი.

პატივისცემით,

ქეთევან გიგლემიანი

ტექნიკური და საოპერაციო მიმართულების დირექტორის მოადგილე

ციფრული ინფრასტრუქტურისა და აქტივების მართვის მიმართულებით

288142

"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
სიტუაციური ნახაზი



მასშტაბი: 1:700

0 5 10 20 30 40 მეტრი

Coordinate System: WGS 1984 UTM Zone 38N
Projection: Transverse Mercator

მიწისქვეშა კომუნიკაციები

გვირაბი	რეზერვუარი	წყალარინების მილი
სასმელი წყლის მილი	სატუმბო	წყალარინების ჭა
სასმელი წყლის ჭა	GPS კოორდინატი	სატუმბო